


F-2947
1



თბილისის ღირსშესანიშნავი
საქმიანობის და ისტორიული ძეგლები
ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სნობარი-მეგობარი“

ქ. თბილისის ტაქსის მძღოლებისათვის

თბილისი
1974

თბილისის ღირსშესანიშნავი
ადგილები და ისტორიული ძეგლები



ქართული
ბიბლიოთეკა

„ცნობარი-ვეგვური“

ქ. თბილისის ტაქსის მძღოლებისათვის

F 2947
/



თბილისი
1974



1. თბილისი

ქვეყნული

თანახმად მემატიანეს ცნობის, "საქართველო" სი ახალი წელთაღრიცხვით IV საუკუნისათვის წარმოადგენდა დიდი მნიშვნელობის ციხე-ქალაქს. მეფე ვახტანგ გორგასალის თაოსნობით, 1500 წლის წინათ, თბილისი გახდა საქართველოს დედაქალაქი. უკანასკნელი აღწერის მიხედვით, თბილისში ცხოვრობდა 889 000 კაცი. იგი საბჭოთა კავშირის ყველაზე მრავალეროვანი ქალაქია. აქ ოთხმოცამდე ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს: ქართველები — 51%, სომხები — 20%, რუსები — 17% და დანარჩენი — 12%. თბილისში ყოველდღიურად საშუალოდ შემოდის და გადის 60—63 ათასი კაცი.

2. მცხეთა

მცხეთა საქართველოს ძველი დედაქალაქია. არქეოლოგიური გათხრები გვარწმუნებენ, რომ დღევანდელი ქალაქის ტერიტორია ადამიანმა აითვისა ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში ჩვენს ერამდე. უძვე-

ლესი სავაჭრო და სტრატეგიული გზების შესაყარზე მცხეთის მდებარეობამ სული შეუწყო მისი მოსახლეობის სწრაფ ზრდას, ხოლო ბუნებრივი რელიეფი თითქმის ხელშეუხებებს ხდიდა მას უცხოელთა შემოსევებისგან თავის.

საქართველოს უძველესი დედაქალაქი გულთბილად ღებულობს ტურისტებს.

სტუმრებს სამუდამოდ დაამახსოვრდებათ ეს ლამაზი და ისტორიული ქვეყნებით მდიდარი ქალაქი.

3. ისტორიული ძეგლები

სვეტიცხოველი — კათედრალური ტაძარი; იგი შენდებოდა 1010 წლიდან 1029 წლამდე, საქართველოს მეფე გიორგი I-ის მმართველობის წლებში.

არმაზის ხევი — ქართლის წარჩინებულ პირთა რეზიდენცია და ნეკროპოლი ანტიკურ ხანაში. არმაზი (ბაგინეთი) — მცხეთის შიდაციხის სახელწოდება.

ჯვრის საყდარი მცხეთის აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა სანაპიროზე, მაღალ მთაზეა შემართული. თავისი კონსტრუქციით არაჩვეულებრივი სილამაზის VI საუკუნის დასასრულის ტაძარი.

ჯვრის ტაძარს უმღერა გენიალურმა
რუსმა პოეტმა მ. ლერმონტოვმა თავის კვებ
დავ პოემაში „მწირი“.



ს ი ო ნ ი ს ტ ა ძ ა რ ი ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი
საუკუნის დასაწყისში, წარმოიშვა მსხვერპლ
თველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზი-
დენციას. საქართველოს ეკლესიას მინიჭე-
ბული აქვს ავტოკეფალია, ესე იგი დამოუ-
კიდებელია სხვა ეკლესიებისაგან. საქარ-
თველოს პატრიარქის წოდება უტოლდება იე-
რუსალაიმის პატრიარქის წოდებას.

ქ ა შ ვ ე თ ი ს ე კ ლ ე ს ი ა ა შ ე ნ ე ბ უ -
ლია XX საუკუნის დასაწყისში სამთავისის
ეკლესიის (XI ს.) ნიმუშით, მიწისძვრებისა-
გან დანგრეული ეკლესიის ადგილზე.

შენობა შიგნიდან მოხატა მხატვარმა
ლადო გუდიაშვილმა.

ს ა მ თ ა ვ რ ო ს ე კ ლ ე ს ი ა — შუასაუ-
კუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შე-
სანიშნავი ისტორიული ტაძარი, თარიღდე-
ბა XI საუკუნით.

სამთავროს ტაძარი გამოირჩევა მაღალ-
მხატვრულ დონეზე შესრულებული ორნა-
მენტით. ტაძარში, შიგნით, არსებობს შედა-
რებით გვიანი მოხატულობის ფრაგმენტები.

ტაძარში დამარხული არიან პირველი

ქართველი ქრისტიანი მეფე მირიანი და მისი მეუღლე ნანა.

ბებრის ციხე მდებარეობს მცხეთის განაპირა ჩრდილოეთით ვეფხველ ქართველოს ძველი დედაქალაქის მხარეს. მთის რთულმა რელიეფმა იძულებული გახადა ციხის მშენებლები შეექმნათ თავდაცვითი ნაგებობის ორი ზოლი — ქვედა და ზედა. ეს იყო რამდენიმე კოშკიანი მრისხანე გამაგრება, რომლის კედლების სისქე ორ მეტრამდე აღწევდა. მისი ნანგრევები ნათლად მეტყველებენ ძველ საქართველოში მშენებლობის ტექნიკის მაღალ დონეზე.

ჩვენს წინაშეა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დიდებული ქმნილება — მეტეხის ტაძარი, რომელიც დგას მდ. მტკვრის ციცაბო ნაპირზე. ტაძრის აგების დროდ ითვლება ვახტანგ გორგასალის ეპოქა — V საუკუნე.

ქალაქ თბილისის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ეს ტაძარი გარდა კულტურულ-რელიგიური ცენტრისა იყო ბასტიონი სამეფო კარის ეკლესიისა.

1818 წელს კი ეს ტრადიციები შეიზღავნა. 20-იან წლებში მეფის მთავრობამ სახალის ნანგრევებზე ააგო ციხე პოლიტიკური პატიმრებისათვის.

აქ პატიმრობაში იმყოფებოდნენ პატიმრების გამოჩენილი მოღვაწეები: მ. კალინინი, ვ. კურნატოვსკი, ა. ჯაფარიძე, ა. წულუკიძე, კამო, მ. ბოჭორიძე, ს. ალილუევები, ა. კოვალენკო, ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის დროებითი ფუძემდებელი კავკასიაში ლადო კეცხოველი. აქ პატიმრობაში იმყოფებოდა აგრეთვე დიდი რუსი მწერალი-რევოლუციონერი ა. მ. გორკი.

მეტეხის გვერდით 1958 წ. საძირკველი ჩაეყარა ქალაქ თბილისის დამაარსებლის, ვახტანგ გორგასალის ძეგლს. მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი. ძეგლი აიგო 1967 წელს. ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან ლენინგრადში.

დიდუბის პანთეონი (აკაკი წერეთლის გამზირი, № 42) არსებობს 1939 წლიდან ძველი დიდუბის სასაფლაოს ადგილას. აქ განისვენებს მეცნიერების და კულტურის ბევრი მოღვაწე.

მთაწმინდის პანთეონი (მთაწმინდის მთის ფერდობზე).

მთაწმინდის მიწაში განისვენებენ საქართველოს დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა,

იაკობ გოგებაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და მრავალი სხვა. მთაწმინდის პანთეონში დაკრძალულ ადამიანთა ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხისა და სამშობლოსათვის თავდადებული მამაკაცებისაა. ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს მათგან

დიდი რუსი პოეტის ა. გრიბოედოვის (1795—1829) ტრაგიკულად დაღუპვის 100 წლისთავთან დაკავშირებით 1929 წელს ოფიციალურად გამოცხადდა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად. ცნობილია, რომ 1829 წელს გრიბოედოვი მოკლეს თეირანში, რუსეთის ელჩად ყოფნის დროს. გრიბოედოვის ცხედარი იმავე წელს გადმოასვენეს თბილისში და, პირადი ანდერძის თანახმად, მიაბარეს საქართველოს მიწას მთაწმინდის მთაზე. მისმა მეუღლემ ნინო ჭავჭავაძემ (ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი) პოეტის საფლავზე აღმართა შესანიშნავი ძეგლი. აქვეა დასაფლავებული თავადაც.

კ რ წ ა ნ ი ს ი — ქ. თბილისის სამხრეთ კარიბჭის ველი, სადაც 1795 წლის 11 სექტემბერს ერეკლე II-ის ჯარს ბრძოლა მოუხდა ალა-მაჰმად-ხანის ურდოებთან.

ავლაბრის არალეგალური
სტამბა. თბილისში, კასპის ქუჩა № 7 სახლ-
ში მოთავსებულია ავლაბრის არალეგალური
სტამბა-მუზეუმი, რომელიც გაიხსნა 1937
წლის 20 აგვისტოს. მუზეუმში წარმოადგენს
პატარა ერთსართულიან სახლს. სახლის წინ,
ფარდულში გაკეთებულია ჭა, რომელ-
შიაც ჭალის საშუალებით თოქზე ეშვებოდ-
ნენ და აქედან ხვრელის გავლით მოხვდებო-
დნენ სახლის ქვეშ, სადაც მოთავსებული იყო
სტამბა. სახლი შედგება ორი ოთახისაგან,
აივნისა და ნახევარსარდაფიანი სათავსო-
საგან.

სტამბა-მუზეუმის გვერდით აგებულია
დამხმარე შენობა, რომლის ერთ-ერთ ოთახ-
ში წარმოდგენილია სტამბის შექმნის მოკლე
ისტორიისა და მისი მოღვაწეობის ამსახველი
დოკუმენტები და ფოტოსურათები.

სტამბა შექმნილი იყო რსდმპ კავკასიის
კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით,
რომელიც მოქმედებდა 1903 წლის ბოლო-
დან 1906 წლამდე. სტამბაში იბეჭდებოდა
ფურცლები, პროკლამაციები, ბროშურები,
გაზეთები: „პროლეტარიატის ბრძოლა“ და
„ბორბა პროლეტარიატა“, ვ. ი. ლენინისა და
ი. ბ. სტალინის ცალკეული სტატიები.

1906 წლის აპრილში სტამბა მეფის ჟან-

დარმებმა გაანადგურეს. ავლაბრის არა-
ლეგალური სტამბა-მუზეუმი ამერიკა-კასიის
რევოლუციური წარსულის დიდებული ძეგ-
ლია.

ქრქვენი 4. საქართველოს სამხედრო გზა

საქართველოს სამხედრო გზა ამიერკავ-
კასიაში მიმავალი ერთ-ერთი ყველაზე კე-
თილმოწყობილი და ლამაზი გზაა. ის ცნობი-
ლი იყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამ-
დე. მას იხსენიებენ საბერძნეთისა და რომის
ძველი მწერლები; იგი მოხსენიებულია არაბ
მწერალთა ნაწარმოებებსა და საქართველოს
უძველეს ქრონიკებში. საქართველოს რუსეთ-
თან 1801 წლის შეერთების შემდეგ გზას
მიეცა განსაკუთრებით დიდი სამხედრო-
სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც რუ-
სეთის ამიერკავკასიასთან დაკავშირების
ყველაზე მნიშვნელოვან არტერიას. მაშინ ამ
გზას ეწოდებოდა „დარიალის გზა“, მაგრამ
1860 წლის შემდეგ, როდესაც საბოლოოდ
დამთავრდა მისი რეკონსტრუქცია, მიიღო
„საქართველოს სამხედრო გზის“ სახელწო-
დება. ამ გზის საწყის პუნქტად ითვლებოდა
მოზდოკი, საბოლოოდ კი თბილისი.

ამჟამად საქართველოს სამხედრო გზა
საბჭოთა კავშირის უდიდესი ავტომაგისტრა-
ლის ნაწილია: მოსკოვი — დონის-როსტოვი—

ორჯონიკიძე — თბილისი. გზის სიგრძე ორ-
ჯონიკიძიდან თბილისამდე 207 კილომეტრია.
ეს უმოკლესი გზაა ჩრდილოეთ კავკასიიდან
ამიერკავკასიაში. თუ მატარებლით ორჯონი-
კიძიდან თბილისამდე (დაახლოებით 100 კმ-
კმ) მგზავრობას 30—35 საათი სჭირდება, სა-
ქართველოს სამხედრო გზით ავტომობილს
ამ ორ პუნქტს შორის მანძილი შეუძლია
5—6 საათში დაფაროს. ეს გზა კვეთავს
ჯვრის გადასასვლელს, რომლის სიმაღლე
ზღვის დონიდან 2395 მეტრია.

5. საგარეუბნო კურორტები

თბილისის მახლობლად განლაგებულია
რამდენიმე საგარეუბნო კურორტი, უპირა-
ტესად ბავშვებისათვის. ეს კურორტები გა-
მოირჩევიან მშრალი, ჭანმრთელი კლიმატით.
კურორტები თბილისს უკავშირდებიან მო-
ხერხებული საავტომობილო მიმოსვლით.
ავტობუსს ერთ საათზე ნაკლებ დროში
შეუძლია მიგიყვანოს: კოკორში, წყნეთ-
ში, კიკეთში. ეს კურორტები მდებარეობენ
ზღვის დონიდან 1000—1300 მეტრზე და
განთქმული არიან თავისი სასწაულთ-
მოქმედი მაცოცხლებელი ჰაერით. უახლო-
ეს მომავალში აშენდება ახალი საბაგირო
გზა, რომელიც ქალაქ თბილისს დააკავში-
რებს საგარეუბნო კურორტ წყნეთთან.

თბილისის შამპანური ღვინის ქარხანა ერთ-ერთი მსხვილი ქარხანაა საბჭოთა კავშირში არა მარტო თავისი წარმადობით, არამედ ტექნოლოგიური უწყინლობითაც. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქარხანამ ექსპლუატაციაში გაუშვა რამდენიმე ავტომატური ხაზი. თბილისის შამპანური კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქცია ჩვენი ქვეყნის მიერ გამოშვებული პროდუქციის 20%-ს შეადგენს. თბილისის შამპანური განთქმულია თავისი მაღალი ხარისხით.

თბილისის კონიაკის ქარხანა კონიაკის წარმოება საქართველოში ჩაისახა XIX საუკუნის ბოლოს. კონიაკის წარმოების პიონერი ჩვენში იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი. მისი ინიციატივით 1888 წელს თბილისში აშენდა კონიაკის პირველი ქარხანა.

კონიაკის წარმოება ფართოდ განვითარდა საქართველოში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში. 1954 წელს ექსპლუატაციაში შევიდა თბილისის კონიაკის ქარხნის პირველი რიგი, რომელიც აღჭურვილი იყო თანამედროვე ტექნიკით. უკვე 1955 წელს კონი-

აკის წარმოება 10-ჯერ გაიზარდა. ამგებულ
თბილისის კონიაკის ქარხანა მთელი ქვეყნის
პროდუქციის 1/3 უშვებს.

ქარხნის პროდუქცია შედგება კონიაკის
და ჩვეულებრივი კონიაკებისაგან. ქარხანა
უშვებს სამარკო კონიაკებს: „ვარციხეს“,
„გრემს“, „ქს“ (ძველი კონიაკი), „ოს“ (ძა-
ლიან ძველი), „ენისელს“, „თბილისს“, „სა-
იუბილეოს“. ყველა ამ კონიაკს მოპოვებული
აქვს ოქროსა და ვერცხლის მედლები სა-
კავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე.

ელექტრომავალსაშენებელი
ქარხანა შეიქმნა ორთქლმავალ-ვაგონ-
შემკეთებელი ქარხნის ელექტრომავლის სა-
ამქროს ბაზაზე და წარმოადგენს მის პირმ-
შოს. რკინიგზის ელექტრიფიკაციის პიონე-
რებად ითვლებიან თბილისის რკინიგზელები.
1957 წელს მათი ინიციატივით დაიწყო
ელექტრომავალსაშენებელი ქარხნის პირვე-
ლი სამქროების მშენებლობა, ხოლო ამავე
წლის ბოლოს ქარხანამ გამოუშვა პირველი
ელექტრომავალი. ამჟამად ქარხანა შეუდგა
ელ-10—004 ტიპის მაგისტრალური ლო-
კომოტივების გამოშვებას.

კიროვის სახელობის ქარხ-
ნაშენებელი ქარხანა შეიქმნა 1929

წელს. ქარხანა წარმოადგენს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ საწარმოებს. იგი უშვებს მეტალურგიული და ნავთის მრეწველობისათვის საჭირო ჩარხებს. აქვე თვე ლითონმკრელ ჩარხებს. აქვეა შეუდგა სახარატო-უნივერსალური „163“ ტიპის ჩარხების სერიული გამოშვების ათვისებას. ათვისებულია მაღლების მრეწველობისათვის საჭირო ჩარხების წარმოება. უკანასკნელ დროს კიროვის ქარხნის პროდუქცია უფრო დიდი რაოდენობით იგზავნება საექსპორტოდ. თბილისური ჩარხები 30-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება მრეწველობის საჭიროებისათვის.

7. თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი შეიქმნა 1921 წ. თეატრის შენობა აიგო 1901 წ. და წარმოადგენს XIX—XX საუკუნეების ეკლექტიკური არქიტექტურის ნიმუშს. მაყურებელთა დარბაზი იტევს 900 კაცს. თეატრს აქვს მცირე საკონცერტო დარბაზიც. ამ თეატრის პირველი 10 წლის შემოქმედებითი მოღვაწეობა განუყრელადაა დაკავშირებული დიდი ქართველი რეჟისორების კოტე

მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სახელებთან.

1937 წლის იანვარში თეატრი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. თეატრის რეპერტუარი მდიდარია ქართული, საზღვარგარეთული დრამატული ბეებით.

მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი შეიქმნა 1928 წელს ქ. ქუთაისში. 1930 წელს გადმოვიდა თბილისში და დაფუძნდა ყოფილ სახალხო სახლის შენობაში. ეს შენობა აშენებულია 1902—1909 წლებში. მისი დარბაზი იტევს 700-მდე მაყურებელს. 1958 წელს თეატრი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით: მის რიგ მსახიობებს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

თბილისის ლენინის ორდენოსანი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი შეიქმნა 1851 წელს. ამჟამად არსებული შენობა აგებულია 1886 წ. მავრიტანულ-არქიტექტურულ სტილში. 1954 წელს თეატრის

მაყურებელთა დარბაზი გადაკეთდა/ არქიტექტორ გ. ლეჟავას პროექტის მიხედვით, რის შემდეგ მისი ტევადობა გაიზარდა 1243 მაყურებლამდე. თეატრის რეპერტუარი მდიდარია ქართული, რუსული და სხვადასხვა გარეთული კლასიკური და თანამედროვე ოპერებითა და ბალეტებით.

ოპერის თეატრის ბალში დადგმულია დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ძეგლი (მოქანდაკე ი. ნიკოლაძე), აქვე განისვენებენ „საქართველოს ბუღბული“ ვანო სარაჯიშვილი და დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი (პლუხანოვის გამზირი, № 182) დაარსებულია 1926 წელს.

მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრი (რუსთაველის გამზირი, № 37) დაარსდა 1928 წელს. თეატრის დარბაზი იტევს 760 მაყურებელს.

მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი (ლესია უკრაინკას ქუჩა, № 1) დაარსდა 1927 წელს. თეატრი ბავშვებისა

და მოზარდი ახალგაზრდობისათვის ახორციელებს მრავალ საინტერესო დადგმას

ცირკი. თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობა აიგო 1940 წელს, პროექტორების—ნეპრინცევის, სტურუას პროექტის მიხედვით. ეს ერთ-ერთი დიდი ცირკია საბჭოთა კავშირში, რომელაც იტევს 2000 მაყურებელს. იგი აშენებულია ცირკისათვის ტრადიციული კოლონების გარეშე.

თბილისის კონსერვატორია ჩამოყალიბდა მუსიკალური სასწავლებლის ბაზაზე 1917 წელს. თბილისის კონსერვატორიის სამ განყოფილებაზე (სტაციონარული, სალამოსა და დაუსწრებელი) სწავლობს 1200-ზე მეტი სტუდენტი. კონსერვატორიასთან შექმნილია საოპერო სტუდია, რომელიც სტუდენტთა ძალებით ახორციელებს დადგმებს.

ფილარმონია. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი გათვალისწინებულია 2500 მაყურებელზე. შენობის შიგნით განლაგებულია დარბაზები: კინოპანორამული, საკონცერტო და საგამოფენო. საგამოფენო დარბაზში დამთვალიერებლებს შეუძლიათ გა-

ეცნონ საქართველოს ხელოვნების ინსტიტუტის ნაწარმოებებს და ამავე დროს შეიქმნონ ეს ნაწარმოებები.

შენობა მოპირკეთებულია ეკლარის ქვით, ბაზალტით, სალიეთის ქვით და კურსების ქვით. მოხატულია კოლონები გარს ერტყმის შენობას, რაც მას აძლევს მონოლითურ და საზეიმო ელფერს, ხოლო დეკორატიული კუთხე შადრევანით ფილარმონიის შესასვლელთან აგვირგვინებს ავტორის საზრიან ჩანაფიქრს.

8. სპორტის სასახლე

სპორტის სასახლის მშენებლობა დაიწყო 1958 წელს და დამთავრდა 1961 წლის თებერვალში. პროექტის ავტორებია არქიტექტორები კარაძე და მესხიშვილი. გუმბათის ავტორია ინჟინერი ქაჯაია.

დიდი დარბაზი იტევს 10000 მაყურებელს. აქვს 28X45 მეტრიანი არენა ხელოვნური გაყინვით ფიგურული სრიალისათვის და ტანვარჯიშის 2 დარბაზი. გუმბათი დამონტაჟებულია 496 ნაკრები ფილისაგან. თითოეული ფილის წონაა 2-დან 4 ტონამდე. გუმბათის მთლიანი წონა შეადგენს 1650 ტონას. გუმბათის დიამეტრი 76 მეტრია. სპორტის სასახლეში იმართება შეჯიბრებე-

ბი ხელბურთში, კალაბურთში, ფრენბურ-
თში, ჭიდაობაში, საბალეტო სანახაობებში
ყინულზე, კონცერტები, კინოფილმების დე-
მონსტრაცია, კინოფესტივალები, თათბირე-
ბი და სხვ.

9. მთავრობის სასახლე

1932 წელს საქართველოს სსრ მთავრო-
ბამ მიიღო დადგენილება თბილისში საქარ-
თველოს მთავრობის სახლის აშენების შე-
სახებზე. 1932 წელს მოსკოვში პროექტის შედ-
გენაზე გამოცხადდა დახურული კონკურსი,
რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გამოჩე-
ნილმა არქიტექტორებმა. მიღებულ იქნა
არქიტექტორების — გ. ლეჟავას და ვ. კოკო-
რინის პროექტი. 1933 წლის 17 ოქტომბერს
საბჭოთავი ჩაეყარა სახკომსაბჭოს ერთ-
ერთი კორპუსის რკინა-ბეტონის კარკასის
საყრდენს.

მთავრობის სასახლის ფასადური კორ-
პუსი აშენდა 1953 წელს. ამ კორპუსში გან-
ლაგებულია საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, სა-
ხელმწიფო საგეგმო კომისია და ნაწილი სა-
მინისტროებისა.

10. ბ. ძეგლის სახელობის კინოფართა და
მოსწავლეთა სასახლე

ეს შენობა არის კავკასიის მეფის ნაცვ-

ლის ყოფილი სასახლე. სასახლის 420 სხვა-
დასხვა წრეში გაერთიანებულია 7000-ზე
მეტი პიონერი და მოსწავლე. სასახლეშია
სარკეებიანი დარბაზი და ფოტოჩინებების მუზე-
უმი.

ბიზნეს-სფერო

11. რკინიგზის ვაგზალი

რკინიგზის ვაგზლის ცენტრალური შე-
ნობა აგებული იყო 1872 წელს. დროთა
მსვლელობაში ძველი შენობა ველარ აკმაყო-
ფილებდა ქალაქის გაზრდილ მოთხოვნილე-
ბას და ამიტომ დანგრეული იქნა, ფართი
გაიზარდა და 1952 წელს აშენდა ახლანდე-
ლი შენობა. ვაგზლის შენობაში რკინიგზის
სამსახურებისა და საბილეთო სალაროების
გარდა არის პირველი კლასის რესტორანი,
მოსაცდელი დარბაზები, დედათა და ბავშვ-
თა ოთახი და სხვ. გათვალისწინებულია ვაგ-
ზლის ახალი რეკონსტრუქცია, რომლის
პროექტი უკვე შედგენილია.

12. სტადიონები

„დინამოს“ სტადიონი აშენდა
1936 წელს არქიტექტორ ა. ქურდიანის
პროექტით; 1963 წელს მას გაუყვებდა
რეკონსტრუქცია და იტევდა 40 000 მაყუ-
რებელს. ამჟამად მას უკვეთდება ახალი რე-
კონსტრუქცია, რის შედეგადაც დაიტევს

70 000 მაყურებელს. სტადიონი მწყობრში ჩადგება 1975 წელს.

„ლოკომოტივის“ სტადიონის ტერიტორიაზე თავსდება 30 000 მაყურებელი მეტი. ცენტრალური საფეხბურთო მინდვრის გარდა მას აქვს სხვადასხვა დამხმარე ნაგებობები.

13. ლენინის სახელობის მოედანი

ლენინის სახელობის მოედანი ქალაქის ცენტრალური მოედანია. 1827 წელს რუსეთის ჯარების მიერ ქ. ერევნის აღების აღსანიშნავად მას დაერქვა „ერევნის მოედანი“. მოედნის გარშემო ნაგებობები ძირითადად აშენებული იყო XIX საუკუნის შუა წლებში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოედანს გაუკეთდა რეკონსტრუქცია. 1956 წელს მოედანზე დაიდგა ვ. ი. ლენინის ძეგლი. მონუმენტის საერთო სიმაღლე შეადგენს 18,5 მეტრს, მარტო ქანდაკება კი 7,5 მეტრს. ძეგლის ავტორია მოქანდაკე თოფურიძე, კვარცხლბეკის ავტორები კი — ვ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი, კ. ჩხეიძე და რ. ხეჩუშვილი. ფიგურა ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან.

მოედნის ჩრდილოეთით, გასული საუკუნის ბოლოს, 1892 წელს, ქართველი საზოგადოების ხარჯზე, დაიდგა პუშკინის ბიუსტი,

რომელიც ჩამოსხმულია ბრინჯაოსგან, აქ-
ვეა კამოს საფლავიც. სვერის საძირით
საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწი-
ფო მუზეუმის შენობაა, რომელიც აგებულია
XIX საუკუნის 30-იან წლებში. ამ
შენობაში მოთავსებული იყო სასულიერო
სემინარია. 1958 წელს სათანადო რეკონს-
ტრუქციის შემდეგ აქ გაიხსნა ხელოვნების
მუზეუმი.

ძირითადი ადგილი მოედანზე უჭირავს
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებე-
ლი კომიტეტის შენობას — ქალაქის ყოფილ
სამმართველოს. ამ შენობაზე 1921 წლის
25 თებერვალს პირველად აფრიალდა წი-
თელი ღროშა.

14. საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემია

1941 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიე-
რებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის
ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიე-
რებათა აკადემია. დღეისათვის აკადემიაში
ითვლება მეცნიერების სხვადასხვა დარგის
117 აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი.
ამჟამად 100-ბინიანი სახლის უკან (გმირთა
მოედანზე) მიმდინარეობს მეცნიერებათა
აკადემიის ქალაქის მშენებლობა. 22 ჰექტარ

ფართობზე განლაგდება 13 მრავალსართულიანი შენობა, რომლებშიც მოთავსდება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, მთავარი წიგნსაცავი, ბიბლიოთეკა და 29 საპედაგოგიკო-კვლევითი ინსტიტუტი. გიგანტური

15. სამხატვრო აკადემია

თბილისის სამხატვრო აკადემია შეიქმნა 1922 წელს. დასაწყისში აკადემიაში იყო სახვითი ხელოვნების ერთი ფაკულტეტი ფერწერისა და ქანდაკების განყოფილებებით. 30-იან წლებში აკადემიაში გაიხსნა არქიტექტურისა და კერამიკის ფაკულტეტები. დღეისათვის აქ სამი ფაკულტეტია: სახვითი ხელოვნების — ფერწერის, გრაფიკისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განყოფილებებით; არქიტექტურის; დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების. მის საწარმოო ბაზას წარმოადგენს მცხეთის კერამიკული ქარხანა, რომელიც უშვებს მხატვრულ ნაწარმს. სამხატვრო აკადემიის კედლებში გაიზარდნენ ქართული საბჭოური ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები, რომელთაგან ბევრია საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და სხვ.

16. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმი

მუზეუმი დაარსდა 1852 წელს (ყოფილი
კავკასიის მუზეუმი). დღევანდელი მუზეუმის
შენობა აგებულია 1929 წელს კონსტანტინე-
სებული მუზეუმის ორსართულიანი შენობის
ადგილას. მუზეუმში წარმოდგენილი ექს-
პოზიცია ასახავს საქართველოს მრავალ-
საუკუნოვან ისტორიას.

17. სურათების გალერეა

გალერეა განლაგებულია 1885 წელს
აგებულ შენობაში, სადაც დასაწყისში მო-
თავსებული იყო სამხედრო-ისტორიული მუ-
ზეუმი. აქ იყო აღდგენილი რუბენსის, აივა-
ზოვსკისა და სხვათა ნახატები. ამჟამად გა-
ლერეაში ხშირად ეწყობა მხატვრების შემოქ-
მედებითი გამოფენები.

18. თბილისის პარკები

1. მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკი.
2. ორჯონიკიძის სახელობის პარკი.
3. კიროვის სახელობის პარკი.
4. ლენინის სახელობის პარკი.
5. გამარჯვების (ვაკის) პარკი.
6. თბილისის ზღვის პარკი.

7. ლისის ტბის (პარტიზანების) პარკი.
8. ოფიცერთა საოლქო სახლის პარკი.
9. პიონერთა პარკი.
10. ზოოლოგიური პარკი.
11. კომკავშირის ხეივანი.
12. ბოტანიკური ბაღი.
13. კომუნარების ბაღი.
14. 300 არაგველის ბაღი.



ქვემოთაა
ბიბლიოთეკა

19. ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და
დასვენების პარკი

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მნახველების მომსახურებისათვის არის საზაფხულო კინოთეატრი, ფილარმონია, ბიბლიოთეკა, საბილიარდო, სიცილის ოთახი, სხვადასხვა ატრაქციონი, უკრავს სასულე ორკესტრი. აქვეა მუდმივმოქმედი გამოფენა — თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალი — „თბილისი და თბილისელები 1941—1945 წწ. დიდ სამამულო ომში“.

1934 წლის 24 ივნისიდან მწყობრში ჩადგა 1200 მეტრის სიგრძის საბავშვო რკინიგზა რკინიგზის სამი სადგურით: „მზიური“, „სიხარული“, „პიონერული“. რკინიგზის შემადგენლობას და სადგურებს მომსახურებას უწევენ ბავშვები.

პარკი მდებარეობს 700 მეტრზე ზღვის
დონიდან. გაშენდა 1934 წელს. მდებარეობს
ლაგებულება პლანეტარიუმის შენობა, სახაფ-
ხულო თეატრი და ატრაქციონები.

ფუნიკულიორი 1905 წელს ააშენა
ბელგიის სააქციო საზოგადოებამ. მთის
რკინიგზის სიგრძე შეადგენს 501 მეტრს,
დახრის კუთხე — 28,5 გრადუსს. 1959 წელს
აშენდა საბავირო ვზა, რომელიც რუსთავე-
ლის გამზირს აერთებს ფუნიკულიორის პლა-
ტოსთან. 1938 წელს მწყობრში ჩადგა სამ-
სართულიანი შენობა, რომლის პირველ სარ-
თულზე განლაგებულია ფუნიკულიორის მარ-
თვის პულტი და ვესტიბიული, მეორე სარ-
თულზეა რესტორანი, ბიბლიოთეკა და და-
სასვენებელი ოთახი. მესამე სართულზე მო-
თავსებულია ვერანდა, რომელიც გამოყენე-
ბულია საცეკვაო მოედნად. შენობის ავტო-
რია არქიტექტორი ზ. ქურდიანი. 1956 წელს
აქ აღიმართა 180-მეტრიანი სატელევიზიო
ანძა, რომლის სიმაღლე ანტენასთან ერთად
192 მეტრია. ძველი ანძის გვერდით აშენდა
275-მეტრიანი ახალი ტელეანძა.

21. ბალნეოლოგიური კურორტი

ბალნეოლოგიური კურორტი ლია 1938 წელს არქიტექტორების კოვსკისა და ა. კარბინის პროექტით შექმნილია გოგირდოვანი ზაზე, უკანასკნელი კი გამოირჩევა თი შემაღგენლობის თავისებურებით (გოგირდი და ტუტე).

ბალნეოლოგიურ კურორტზე მკურნალობენ გულ-სისხლძარღვებისა და ძვლების დაავადებებს. დიდი წარმატებით წარმოებს ტალახით მკურნალობა. ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ავადმყოფები იუმჯობესებენ თავიანთ ჯანმრთელობას. კურორტი უტოლდება მსოფლიოში ცნობილ ისეთ კურორტებს, როგორცაა წყალტუბო, მენჯი, ცაიში და სხვ.

22. თბილისის ზღვა

თბილისის ზღვის ფართობი შეადგენს 15 კვ. კმ-ს. მისი მაქსიმალური სიგრძეა 9,5 კმ, სიგანე — 1,5 კმ, სიღრმე — 55 მ; არხის სიგრძე 60 კმ-ია. არხის სათავე აგებულია სოფელ პაღდოსთან.

თბილისის ზღვის (ქვაბური ზღვისათვის) შევსება ხდებოდა 1951 წლიდან 1955 წლამდე. ხელოვნური ზღვით ირწყვება გარეკახეთის 80 000 ჰექტარი გამომშრალი მიწა.

სარწყავ ფართობზე მოთავსებულია მებოს-
ტნეობისა და მერძევეობის საბჭოთა მეურ-
ნეობები და კოლმეურნეობები, აგრეთვე
ხილის ბაღები, ვენახები და საფუტურები.
მდინარე იორი, რომელმაც შექმნა თბილის-
ის ზღვა, იფილტრება და გათხევებულია
სასმელ წყლად.

1955 წელს ზღვაში გაშვებული იქნა
რამდენიმე ათასი ცალი კალმახის, ხრამუ-
ლის, იშხანისა და სხვა სახეობის თევზების
ლიფსიტები.

თბილისის ზღვის პარკს უჭირავს 90 ჰექ-
ტარი მიწის ფართობი, აქედან 50 ჰექტარი
უკავია ხილის ნარგავებს. თბილისის ზღვის
ტერიტორიაზე აშენდა 250-ადგილიანი რეს-
ტორანი „იორი“, 210-ადგილიანი პანსიონა-
ტი და ტურისტული ბაზა. გაძლიერებულად
ხდება თბილისის ზღვის შემოგარენის გამ-
წვანება. ზღვის გარშემო უკვე მოასფალტე-
ბულია მთელი გზა; ხდება პლაჟის კეთილ-
მოწყობა. უნდა აშენდეს ავტოგარაჟი, სას-
ტუმრო, სპორტული მოედნები და განახლ-
დეს სამდინარო ტრანსპორტი.

23. ბოტანიკური ბაღი

ბოტანიკურ ბაღს უჭირავს 128 ჰექტარი
ტერიტორია. ბოტანიკურ ბაღში შეიძლება

მოხვდეთ კომკავშირის ხეივნიდან, ენგელ-
სის ქუჩიდან, აბანოს ქუჩიდან და კოჭრის
გზატკეცილიდან. ბალი გაშლილია ნუბანში
სოლოლაკის ქედსა და თაბორის მთას შო-
რის. **ე რ რ ე ნ ე უ ლ ი**

ქველად აქ იყო მეფის ბალი. **ბ ი ბ უ ლ ი**
პ. იოსელიანის დამოწმებით XVI საუკუნეში
ბაღში იყო მეფის სასახლე, რომელიც დაინ-
გრა უცხოელთა შემოსევის დროს. ამჟამად
ბალი ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიე-
რებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ
ბაღს. აქ დიდი რაოდენობით ხარობს მცენა-
რეთა უნიკალური კულტურები, ადგილობრი-
ვი და შემოტანილი ხეები, რომლებზედაც
დაკვირვებას აწარმოებენ ბოტანიკური ბაღის
თანამშრომლები.

24. კომკავშირის ხეივანი

კომკავშირის ხეივანი იწყება კოჭრის
გზატკეცილიდან და მთის ტერასზე გადა-
ჭიმულია ნარიყალას უძველესი ციხის ნან-
გრევებამდე.

1933 წლიდან, კომკავშირელთა თაოს-
ნობით, ადრე მოხრიოკებულ და კლდოვანი
დაქანების ადგილას დაიწყო ხეივნის გაშენე-
ბა, რომელიც გარდაიქმნა აყვავებულ ბაღად
და გახდა მშრომელთა დასვენების ადგილი,

ამიტომ დაერქვა მის „კომკავშირის ხეივანი“.
1958 წელს აქ დაიდგა 28 მეტრის სიმა-
ღლის ხისაგან გაკეთებული ქალის მონუ-
მენტური ქანდაკება, გადაკრული დურალუ-
მინით, რომელიც სიმბოლურად წარმო-
ვლენს, რომ საუკუნეების განმავლობაში ქ-
ქართველო მახვილით ხვდებოდა მტერს, ხო-
ლო ფიალით — მოყვარეს. მისი ავტორია
ელგუჯა ამაშუკელი.

25. ბიბლიოთეკები

კარლ მარქსის სახელობის
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
(კეცხოველის ქუჩა, № 5) აგებულია წარსუ-
ლი საუკუნის პირველ ათეულ წლებში. უწინ
აქ იმყოფებოდა სამამულო ბანკი. ბიბლიო-
თეკა შეიქმნა 1848 წელს. მას შეუძლია ერთ-
დროულად მოემსახუროს 600-ზე მეტ კაცს.
მისი წიგნების ფონდში ითვლება 9 მილიონ-
ამდე ერთეული. გააჩნია იშვიათი და უნიკა-
ლური წიგნების დიდი რაოდენობა, სახელ-
დობრ, 1629 წელს რომში გამოცემული პირ-
ველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-
იტალიური ლექსიკონი“, თბილისში ვახტანგ
VI სტამბაში დაბეჭდილი შოთა რუსთავე-
ლის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და მრავალი
სხვ.

ჯაფარიძის სახელობის ქალაქის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (მეროზიას ქუჩა, № 2). ბიბლიოთეკის შენობა აგებულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს მას ეწოდებოდა „საქონლის სახლის ბიბლიოთეკა“. დღეისათვის მისი წიგნების ფონდი შეადგენს 400 ათას ერთეულს. ყოველწლიურად ბიბლიოთეკა ემსახურება 17 ათას მკითხველს.

26. სასტუმროები

„თბილისი“ (რუსთაველის გამზირი, № 13). შენობა აგებულია 1915 წელს. 1936 წელს მოხდა მისი შიგა ნაწილების რეკონსტრუქცია. სასტუმროს აქვს 125 ნომერი, მუშაობს კაფე-რესტორანი.

„საქართველო“ (მელიქიშვილის ქუჩა, № 12) აშენებულია 1958 წელს. სასტუმროს აქვს 132 ნომერი, მუშაობს კაფე-რესტორანი.

„აფხაზეთი“ (ვაჟა-ფშაველას გამზირი, № 25). სასტუმრო აშენებულია 1962 წელს, აქვს 269 ნომერი, მუშაობს კაფე-რესტორანი.

„კოლხეთი“ (ვაგზლის მოედანი) აშენებულია 1963 წელს, აქვს 113 ნომერი, მუშაობს კაფე-რესტორანი.

„რუსთავი“ (პლენარეის გამზირი, № 103). სასტუმრო აშენებულია 1964 წელს, აქვს 90 ნომერი, მუშაობს კაფე-რესტორანი.

„ინტურისტი“ (რუსთაველის გამზირი, № 7) აშენებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში, აქვს 48 ნომერი, მუშაობს კაფე-რესტორანი. სასტუმრო ძირითადად მომსახურებას უწევს საზღვარგარეთელ ტურისტებს.

„ტურისტი“ (კავკავაძის გამზირი, № 80). სასტუმრო აშენებულია 1965 წელს. სასტუმროში მუშაობს კაფე-რესტორანი. სასტუმრო მომსახურებას უწევს საბჭოთა ტურისტებს.

„ივერია“ (ინაშვილის ქუჩა, № 4) ექსპლუატაციაში შევიდა 1967 წლის 7 ნოემბერს — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით. სასტუმრო 22-სართულიანია. იგი აშენებულია არქიტექტორ ოთარ კალანდარიშვილის პროექტით. შენობის 22-ე სართულზე მოწყობილია საცურაო აუზი. საბჭოთა კავშირის სასტუმროთა შორის „ივერია“ ერთადერთია,

რომელშიც მოწყობილია საცურაო აუზი. სასტუმროს აქვს 282 ნომერი. სასტუმროს მე-16 სართულზე მუშაობს კონფერენციალური რესტორანი საერთო დარბაზითა და კაბინეტებით, რომელიც გაფორმებულია უძველესი თული ჰედურობით. გარდა ამისა, სასტუმროს აქვს ცენტრალური რესტორანი საბანკეტო დარბაზით, აღმოსავლური სტილით მოწყობილი დარბაზი. უცხოელებისათვის 20 საათიდან დილის 4 საათამდე მუშაობს ღამის ბარი და კაფე. სასტუმროს აქვს 150-ადგილიანი კონფერენც-დარბაზი, სადაც ძირითადად ტარდება კონფერენციები და სიმპოზიუმები. აქვე ეწყობა კინოფილმების ჩვენება უცხოელებისათვის.

27. თბილისის მატროპოლიტანი

1965 წელს თბილისელებმა კიდევ ერთი სიხარული იზეიმეს — მწყობრში ჩადგა საბჭოთა კავშირში რიგით მეოთხე მეტროპოლიტენი. მისი პირველი სადგურებია: „დიდუბე“, „ოქტომბერი“, „ვაგზლის მოედანი“, „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“.

1968 წლიდან მათ რიცხვს მიემატა სადგურები „ლენინის მოედანი“, „26 კომისრების“ და „300 არაგველი“, ხოლო 1971 წლის მაისიდან გაიხსნა სადგურები „ისანი“ და „სამგორი“.

Исторические памятники / მ
достопримечательности /
города Тбилиси
თბილისის
ისტორიული ძეგლები

«ПАМЯТКА-ПУТЕВОДИТЕЛЬ»

Водителю легкового такси г. Тбилиси

ТБИЛИСИ

1974



საქართველოს
საქართველოს

1. ТБИЛИСИ

Тбилиси, согласно летописи, основан царем Вахтангом Горгасали 1500 лет тому назад на месте горячих серных источников, создавших впоследствии большую славу нашему городу.

Тбилиси является самым многонациональным городом Советского Союза. В нем проживают граждане около 80 национальностей. Основными являются грузины — 51%, армяне — 20%, русские — 17% и 12% остальные. По данным последней переписи в нем проживает 889 тысяч человек. Ежедневно в Тбилиси приезжают и выезжают в среднем 60—63 тысячи человек.

2. МЦХЕТА

Мцхета — столица древней Грузии. Археологические раскопки подтверждают, что человек освоил территорию нынешнего города еще в третьем тысячелетии до нашей эры. Местоположение Мцхета на скрещении древних торговых и стра-

тегических путей способствовало быстрому росту его населения, а природный рельеф делал город почти неприступным для вторжения иноземных завоевателей.

Мцхета оставалась столицей Грузии до VI века нашей эры. Древняя столица Грузии радушно принимает туристов; гости навсегда запомнят этот богатый историческими памятниками красивый город.

3. ИСТОРИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ

Светицховели — кафедральный собор строился с 1010 г. по 1029 г. в годы правления в Грузии царя Георгия I.

Армазисхеви — резиденция высоких сановников Грузии античного периода.

Джварис сакдари (Храм креста) к востоку от Мцхета, на высокой горе, на левом берегу Арагви, высится редкий по своему строительному облику и конструкции храм конца VI века. Храм Джвари воспет гениальным русским поэтом М. Ю. Лермонтовым в поэме «Мцыри». При храме некогда действительно был мужской монастырь.

